ოქმი:**ო63.63211802**
თარიღი:**29/06/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 25

ქ. სამტრედია. 28 ივნისი, 2021 წელი.

2021 წლის 28 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ამაღლობელი, ვაჟა სტურუა, ლიზა კრავეიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) ფარგლებში მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ.

   /მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.უღრელიძე/

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

3. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 62-622117643, 25/06 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) ფარგლებში მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეების მოწონების საკითხს. საპროექტო იდეის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოზე განსახილველად წარსადგენად აუცილებელი პირობაა, იდეა მოწონებული იყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 62-622117644, 25/06 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის, საჯაროდ გამოქვეყნების წესის, პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი 1.**

ეს წესი განსაზღვრავს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე, ამ წესის აღსრულების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომ,

მერია) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.''

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის მე-2 მუხლის, პირველი პუნქტი, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (შემდგომ, სტრუქტურული ერთეული), ან პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290^4-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შესაბამის პირს (შემდგომ, პირი) საჯარიმო ქვითარს უგზავნის ფოსტის მეშვეობით, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.''

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი,

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) ფარგლებში მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.უღრელიძე/

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

3. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომა გაიმართება 2021 წლის

29 ივნისს, 10^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი